მარიამ სანიკიძე

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა

,,ჩემი ცხოვრების განვლილ 5 თვეზე რომ ვფიქრობ, მაშინვე მადლიერების შეგრძნება მეუფლება. მშვიდი, მოწესრიგებული, ლამაზი და მისტიური - ასეთია ჩემთვის ქალაქი ვილნიუსი, რომელთანაც უამრავი დადებითი ემოცია და დაუვიწყარი მოგონება მაკავშირებს.

ახლის შეცნობისა და მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების სურვილი ჩემი ხასიათის განუყოფელი ნაწილია. მუდმივად შესაძლებლობებისა და განვითარების პერსპექტივის ძიებაში ვარ… სწორედ, ასე აღმოვაჩინე გაცვლითი პროგრამა და 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ვილნიუსის უნივერსიტეტში ვისწავლე.

ვილნიუსის უნივერსიტეტში არსებული აკადემიური გარემო გამოირჩეოდა მაღალი ხარისხითა და პროფესიონალიზმით, სტუდენტური ცხოვრება კი მრავალფეროვნებითა და ძალიან ბევრი შესაძლებლობით.

ჩემი აზრით, საზღვარგარეთ სწავლის მთავარი ჯადოსნობა, პიროვნული ზრდისთვის იდეალური გარემოს შექმნაშია. დამოუკიდებლობა, შინაგანი თავისუფლება და სივრცე განვითარებისთვის - გაცვლითი პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტებია.

ჩემს თავში გაკეთებული აღმოჩენებისა და ახალი უნარების ათვისების გარდა, გავიცანი ბევრი არაჩვეულებრივი ადამიანი და ძალიან კარგი მეგობრებიც შევიძინე.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა ისეთი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მომცა, რომელიც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ნაწილია.''